პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 133 (4643)

9 ივლისი, კვირა. 1972 წ. ფასი 8 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დღეს

კიევში სტარტს აძლევს მოსწავლეთა XII სპარტაკიადა. ამ დიდი ფორუმის ფინალურ შეჯიბრებებში მონაწილეობას მიიღებს სსრ კავშირის ყველა რესპუბლიკის, აგრეთვე, მოსკოვისა და ლენინგრადის 5 ათასი გოგონა და ჭაბუკი.

კიევი საგულდაგულოდ მოემზადა ჩვენი მომავალი თაობის მასპინძლობისთვის. ნორჩი სპორტსმენებისთვის გამოყოფილია შესანიშნავი სპორტული ბაზები, ბავშვები იცხოვრებენ სკოლა-ინტერნატებისა და უმაღლესი სასწავლებლების კეთილმოწყობილ საერთო საცხოვრებლებში. მათ მოემსახურებიან სპეციალურად გამოყოფილი საშეფო დაწესებულებები. თავისუფალ დროს მოსწავლეებს შესაძლებლობა ექნებათ დაათვალიერონ კიევის ღირსშესანიშნაობანი, უკრაინის დედაქალაქის კულტურის კერები.

ნორჩ ფეხბურთელთა შეჯიბრება ყველაზე ადრე დაიწყება და ყველაზე ხანგრძლივიც იქნება (ფეხბურთელები იასპარეზებენ 9 ივლისიდან 26 ივლისამდე).

დანარჩენ სახეობებში შეჯიბრებათა ვადები ასეთია: სპორტული ტანვარჯიში — 12-16 ივლისი, კალათბურთი და ფრენბურთი — 12-23 ივლისი, ხელბურთი და ჭადრაკი — 13-24 ივლისი, ფარიკაობა — 17-24 ივლისი, მხატვრული ტანვარჯიში — 21-26 ივლისი, ტყვიის სროლა და აკრობატიკა — 21-25 ივლისი, ველოსპორტი, მძლეოსნობა და ცურვა — 22-26 ივლისი.

სპარტაკიადის საზეიმო გახსნა მოეწყობა 21 ივლისს, დახურვა — 26 ივლისს.

## საუკეთესო გუნდი, საუკეთესო მოჭიდავეები

### ევროპის იუნიორთა II ჩემპიონატი

ხვარი (იუგოსლავია), 7 ივლისი. კლასიკურ ჭიდაობაში ევროპის იუნიორთა აქ გამართული II ჩემპიონატი საბჭოთა სპორტსმენების დიდი წარმატებით აღინიშნა: მათ გუნდურ ჩათვლაში უძლიერესის წოდება შეინარჩუნეს, პირადში კი ოქროს 5 და ბრინჯაოს 2 მედალი მოიხვეჭეს.

კონტინენტის ჩემპიონები (წონითი კატეგორიების მიხედვით) გახდნენ: გინგა (რუმინეთი), ბაქოელი ალიევი, ბატილა (რუმინეთი), გროზნოელი დავიდიანი, სკელდი (შვეცია), ტრაიკოვი (ბულგარეთი), ბაქოელი მკრტიჩევი, მინსკელები ლიბერმანი და ნეჩაევი, ფარკაში (უნგრეთი).

ბრინჯაოს მედლები ხვდათ ალმაათელ ახმედოვსა (48 კგ-მდე) და ბაქოელ ევაზოვს (56 კგ-მდე).

გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: სსრ კავშირი — 42 ქულა, ბულგარეთი — 35, რუმინეთი — 32, იუგოსლავია — 20, უნგრეთი და გდრ — 18-18, შვეცია და პოლონეთი — 16-16, გფრ, ავსტრია, ფინეთი და იტალია — 2-2.

სსრ კავშირის სპორტკავშირის ჭიდაობის განყოფილების უფროსმა ვ. ბორისოვმა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ საპრიზო ადგილებისთვის ძირითადი ბრძოლა სსრ კავშირის, ბულგარეთის, რუმინეთის, უნგრეთის, იუგოსლავიისა და პოლონეთის მოჭიდავეთა შორის გაჩაღდა. სპეციალისტთა ერთსულოვანი აზრით, საბჭოთა იუნიორები თავიანთ მეტოქეებს ნებისყოფით, ტექნიკური ოსტატობითა და ფიზიკური მომზადებით სჯობდნენ. მან განსაკუთრებით აღნიშნა დავიდიანის, მკრტიჩევისა და ლიბერმანის წარმატება, რომლებმაც კონტინენტის ჩემპიონთა ტიტული შეინარჩუნეს.

დაიწყო თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ტურნირი. ჩემპიონები 9 ივლისს გამოვლინდებიან.



## მწერალთა ძვირფასი სტუმარი

ბევრ დიდ ქართველ და უცხოელ მოღვაწესთან შეხვედრა ახსოვს საქართველოს მწერალთა კავშირის სახლის სააქტო დარბაზს. ეს გულითადი შეხვედრაც დაუვიწყარი იქნება. გასულ პარასკევს ცნობილმა ქართველმა პროზაიკოსებმა, პოეტებმა, ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთების, გამომცემლობების თანამშრომლებმა შეხვედრა მოუწყვეს საამაყო ქართველ მოჭადრაკეს ნონა გაფრინდაშვილს. სავსე დარბაზი ტაშით შეეგება მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონს.

შეხვედრა გახსნა მწერალთა კავშირის მდივანმა ი. ნონეშვილმა. ლ. გოთუამ, გ. გოგიჩაიშვილმა, ი. ორჯონიკიძემ, დ. მაჭავარიანმა გულწრფელი სიტყვებით შეამკეს მსოფლიო ჩემპიონის რაინდული ბრძოლა მეოთხე გვირგვინისთვის. ო. შალამბერიძემ წაიკითხა ნონასადმი მიძღვნილი თავისი ახალი ლექსი, ვ. გორგანელმა კი 1961 წელს შეთხზული ლექსი, სადაც წინასწარმეტყველებდა, რომ პრეტენდენტი ნონა მსოფლიო ჩემპიონი გახდებოდა. მ. ფოცხიშვილმა წაიკითხა ლექსი „ლაჩიერის გამბიტი".

პროზაიკოსებმა და პოეტებმა ძვირფას სტუმარს თავიანთი წიგნები უსახსოვრეს ავტოგრაფებით.

„რიგის ბრძოლაზე". სპორტულ და შემოქმედებით ჭიდილზე მასპინძლებს თავისი შთაბეჭდილებები გაუზიარა ჭადრაკის მიმომხილველმა თ. გიორგაძემ.

ყველამ დიდი გულისყურით მოისმინა ნ. გაფრინდაშვილის ნაამბობი ა. კუშნირთან მატჩზე. მერე მსოფლიო ჩემპიონმა და თ. გიორგაძემ დამსწრეთ შეკითხვებზე უპასუხეს.

ეს გულითადი შეხვედრა სტუმრის მადლობის სიტყვებითა და მასპინძელთა ტაშით დასრულდა. ყველანი მწერალთა სახლის ბაღში გავიდნენ. აქ ნონა გაეცნო დაღესტნის გამოჩენილ პოეტს ყაისინ ყულიევს, ხოლო საქართველოს სსრ დამსახურებულმა მხატვარმა მანაბა მაგომედოვამ ჭადრაკის დედოფალს უსახსოვრა თავისი ნახელავი ვერცხლის ბეჭედი თამარ მეფის გამოსახულებით. მერე „ლელოს" ფოტოკორესპონდენტმა მ. ზარგარიანმა სტუმარსა და მასპინძლებს სამახსოვრო სურათები გადაუღო.

ამ სურათზე აღბეჭდილი არიან (მარცხნიდან): ლ. გოთუა, გ. გოგიჩაიშვილი, ი. ნონეშვილი, ნ. ჩაჩავა, ნ. გაფრინდაშვილი, გ. აბაშიძე, რ. მეჟანიშვილი, ყ. ყულიევი, ნ. გურეშიძე და ე. მაღრაძე.

მიხაკებით სავსე კალათა, გულით მიძღვნილი წიგნები, საყვარელი მწერლების, პოეტების სახეები... ეს გულითადი შეხვედრა არც ჭადრაკის დედოფალს დაავიწყდება.

უ. ნინოშვილი.

## მატჩამდე დარჩენილ დღეებში

ხუთშაბათს მოწყობილმა წილისყრამ ჭადრაკში მსოფლიო პირველობამდე დარჩენილი დღეების ანგარიში შეცვალა. მეტოქეებმა გაიგეს, რომელი რა ფერის ფიგურებით ითამაშებს პირველ პარტიას და ერთმანეთს დაშორდნენ.

რობერტ ფიშერი ისევ დაემალა გარეშე თვალს. ჟურნალისტები ამბობენ, მასთან მოხვედრა შეუძლებელიაო. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამერიკელი დიდოსტატი სასტუმროდანაც არ გამოდის ნაქირავები სახლიდან.

ბორის სპასკი, როცა კი სასტუმრო „საგადან" გამოდის, კვლავ ხვდება მასპინძელი ქალაქის მცხოვრებთ. ისლანდიელები მას ავტოგრაფს სთხოვენ, წარმატებას უსურვებენ. გაზეთები მადლიერების სიტყვებს უძღვნიან მსოფლიო ჩემპიონს, რომელიც მატჩის ბედის გადაწყვეტის დაძაბულ დღეებში რეიკიავიკიდან არ წავიდა.

ამ დღეებში ჩოგბურთში სპასკის მეტოქე იყო იუგოსლაველი დიდოსტატი გლიგორიჩი, რომელიც აქ კორესპონდენტად ჩამოვიდა. მაგრამ გლიგორიჩმა თქვა, რომ სპასკისთვის მატჩის შესახებ ერთი სიტყვაც არ უკითხავს.

... საბჭოთა ჟურნალისტები ვიყავით სასტუმრო „საგაში", № 780 ოთახში, სადაც მსოფლიო ჩემპიონი ცხოვრობს. ამ დროს სპასკისთან მოეყარათ თავი გელერს, კროგიუსს, ნეის.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ხელი არ შევუშალეთ მსოფლიო ჩემპიონსა და მის სეკუნდანტებს, მხოლოდ ის გავიგეთ, რომ სპასკი დღეს ერთ-ერთ ტბაზე სათევზაოდ წასვლას აპირებდა...

რეიკიავიკის ირგვლივ უამრავი ტბაა, მაგრამ ყველა კერძო პირების საკუთრებაა. მეთევზემ ყოველთვის ლიცენზია უნდა იყიდოს, რაც პატარა ფული როდი ჯდება, მაგრამ ახლა ტბების მეპატრონეები ერთმანეთს ეცილებიან მსოფლიო ჩემპიონის მიპატიჟებაში და იმის თავდებადაც კი უდგებიან, კალმახის ჭერაში ღმერთი ხელს მოგიმართავთო...

მაღაზიების ვიტრინები ამ დღეებში, თუ შეიძლება ითქვას, საჭადრაკო მიმართულებითაა გაფორმებული. იყიდება წიგნები, პირველ ყოვლისა, სპასკისა და ფიშერზე, მათი პორტრეტები. ერთ-ერთ მაღაზიაში კედელზე გაკრული ასეთი მოწოდებაც კი შევნიშნე: „მობრძანდით ჩვენთან, ჩვენს მაღაზიაში ნამყოფია ბორის სპასკი!" ახლა რეიკიავიკში საბჭოთა კავშირში დამზადებული ბევრი საჭადრაკო საათი იყიდება. საბჭოთა ქვეყანასთან მოვაჭრე ერთ-ერთი ფირმის წარმომადგენელმა (სხვათა შორის, რეიკიავიკის ქუჩებში ძალიან ხშირად მოჰკრავთ თვალს „ვოლგასა" და „მოსკვიჩს") ოცნებით თქვა: ნეტავ ყოველ საჭადრაკო საათს ბორის სპასკის ავტოგრაფი ჰქონდესო.

... გამოფენათა სასახლე, სადაც მატჩი უნდა ჩატარდეს, ჯერჯერობით ცარიელია. ხამშაბათამდე კიდევ დროა.

ა. ერმაკოვი.
(საკდესის სპეც. კორ.).
რეიკიავიკი, 8 ივლისი.

## სპარტაკიადა-72

● ვარშავა, 7 ივლისი. სოციალისტური ქვეყნების მოფარიკავეთა საერთაშორისო ტურნირში სსრ კავშირის წარმომადგენლებმა კიდევ ერთი გამარჯვება იზეიმეს: რაპირისტმა ქალებმა ფინალური შეხვედრები მოიგეს. I ადგილი დაიკავა მოსკოველმა გ. გოროხოვამ, რომელმაც ოთხჯერ მიაღწია წარმატებას. II ადგილზე გასულ მინსკელ ტ. სამუსენკოსაც ოთხი მოგება აქვს. III და IV ადგილებზე არიან პოლონელი გ. ბალონი და ყაზანელი ვ. ნიკონოვა (3-3 მოგება).

● ბრნო, 7 ივლისი. სოციალისტური სახელმწიფოების ველომრბოლელთა შეჯიბრებაში, რომელსაც „მეგობრობა" ჰქვია, ლიდერობს ოდესელი ა. პოლიაჩეკი. II ადგილზეა ი. ზიგელი (გდრ), III — მოსკოველი ა. ვორონინი. ველორბოლაში 136 სპორტსმენი მონაწილეობს.

● ბრნო, 8 ივლისი. სოციალისტური ქვეყნების იუნიორ ველოსიპედისტთა შეჯიბრება „მეგობრობაში" საბჭოთა გუნდს ოქროს მეორე მედალი მოუტანა ა. ვორონინმა, რომელმაც ყველას აჯობა ტრეკზე სპრინტში. გამოდევნებით გუნდურ რბოლაში საბჭოთა ველოსიპედისტები II ადგილზე გავიდნენ, პირველობა გდრ-ის წარმომადგენლებს დაუთმეს.

● ლიუბლიანა, 8 ივლისი. „იუგოსლავიის ტურის" VIII ეტაპის (ზაგრები — ლიუბლიანა, 140 კმ) შემდეგ მოსკოვის ოლქის წარმომადგენელმა ი. ლავრუშკინმა ლიდერობა იგდო ხელთ, თუმცა ამ ეტაპზე მხოლოდ VIII ადგილი დაიკავა (3:08.13). მაგრამ აი, 8 ეტაპის ჯამში მას საუკეთესო დრო აღმოაჩნდა — 18:31.59. ეს ეტაპი მოიგო ჰოლანდიელმა ბ. კოკენმა — 3:07.43. III ადგილზეა კიშინიოველი დ. ტრიშინი — 3:08.03. გუნდურ ჩათვლაში საბჭოთა ნაკრებმა კიდევ უფრო განიმტკიცა სალიდერო პოზიცია. მისი დროა 55:35.48. მომდევნო საპრიზო ადგილებზე არიან იუგოსლავიის გუნდი (55:42.35) და პოლონეთის ველოსიპედისტები (55:47.46).

● კატოვიცე, 8 ივლისი. სოციალისტური ქვეყნების დაშნით მოფარიკავეთა ტურნირში ვორონეჟელმა ვ. მოძალევსკიმ ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა. I ადგილი დაიკავა ულიგმა, ხოლო II — მელციგმა (ორივე — გდრ).

● მოსკოვი, 8 ივლისი. სადგურ პლანიორნაიაში გრძელდება სსრ კავშირის ჩემპიონატი თანამედროვე ხუთჭიდში. დღის საცხენოსნო სპორტში გაიმართა ტურნირი. მონაწილეთ 20-20 წინაღობა უნდა გადაელახათ. ლიდერები ჩამორჩნენ: I ადგილზე მყოფმა პ. ლედნიოვმა (ლვოვი) მხოლოდ 195 ქულა დააგროვა, III ადგილზე მყოფმა ვ. სვატენკომ (ყაზახეთი) კი 325. საინტერესოა, რომ სხვადასხვა გიტში მოასპარეზე ამ ორივე სპორტსმენს ერთიდაიგივე ცხენი შეხვდა. თავი გამოიჩინა კრასნოდარელმა სპორტსმენმა, 19 წლის ო. ბულგაკოვმა, რომელმაც ქულათა მაქსიმუმი მოაგროვა — 1100. ამან პროგრამის ორი სახეობის შემდეგ ბულგაკოვი II ადგილზე გაიყვანა — 1862 ქულა. ლიდერობა კი ხელთ იგდო მოსკოვის ოლქის წარმომადგენელმა ვ. შმელიოვმა — 2030 ქულა. დღეს ხუთჭიდელები პისტოლეტით სწრაფსროლაში შეეჯიბრებიან ერთმანეთს.

ჩვენს რესპუბლიკაში



ვინ გაასწრებს? (ნიჩბოსანთა წვრთნა სოხუმში).

ბ. კოვალიოვის ფოტო.



დოღი თბილისში.

მ. თათარიშვილის ფოტო.

# 9+8

## რესპუბლიკური უნივერსიადა

ისევე როგორც სხვა სახეობათა წარმომადგენლებისთვის, უნივერსიადის პროგრამით მოასპარეზე ტყვიის მსროლელებისთვისაც, სულ ცოტა, პირველი თანრიგის ნორმატივის შედეგი იყო აუცილებელი, რომ კოლექტივებისთვის ჩათვლა მიეცათ. ალბათ ამიტომაც იყო, რომ ბრძოლაში (შეჯიბრება ჩატარდა კიროვის რაიონის ტირში) სრული გუნდებით (12-12 მონაწილე) მხოლოდ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და ქუთაისის პედინსტიტუტის კოლექტივები ჩაებნენ. უნივერსიტეტის გუნდში მხოლოდ ხუთი სპორტსმენი იყო, თბილისის პედაგოგიური და ფიზკულტურის ინსტიტუტების კოლექტივები სამ-სამი მსროლელით გამოვიდნენ...

ბევრმა სპორტსმენმა გუნდს ვერაფერი არგო, ხოლო ზოგიერთ ვარჯიშში პირველი თანრიგის ნორმატივის შედეგიც კი არავის უჩვენებია.

ქალებმა შეჯიბრება მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლილა 60 გასროლით გახსნეს. როგორც მოსალოდნელი იყო, ყველას აჯობა სპორტის ოსტატმა ლ. ცქიტიშვილმა (თბილისის პედინსტიტუტი) — 583 ქულა. იგი ერთადერთი აღმოჩნდა, ვინც ჩასათვლელი ნორმატივი შეასრულა. მაგრამ ეს ცქიტიშვილის ბოლო გამარჯვება როდი იყო: მანვე მოიგო მცირეკალიბრიანი შაშხანით სტანდარტზე (3×20) სროლა, რომელშიც 560 ქულით სპორტის ოსტატის ნორმატივს შესწვდა და I ადგილისთვის განკუთვნილ 9 ქულასთან ერთად ოსტატობის შესრულებისთვის გუნდს დამატებით 8 ქულა შესძინა. ცქიტიშვილს არც პნევმატური შაშხანით შეჯიბრებაში გაუტოლდა ვინმე (319 ქულა), მაგრამ გუნდს ამჯერად ვერაფერი მოუტანა.

ქალთა ასპარეზობაში ორი გამარჯვება იზეიმა ქუთაისის პედინსტიტუტის გუნდის წევრმა ლ. შარაშენიძემაც: ჯერ მცირეკალიბრიანი პისტოლეტით შავ სამიზნეებზე სროლა მოიგო — 261 ქულა (პირველი თანრიგის ნორმატივი შეასრულა მეორე პრიზიორმა, უნივერსიტეტის დიპლომანტმა მ. ღვინერიამაც — 252 ქულა), ხოლო შემდეგ ამავე იარაღით სილუეტებზე და შავ სამიზნებზე სროლაში იმარჯვა — 558. ამ ვარჯიშში ქუთაისელმა მსროლელმა ღვინერიას ქულით აჯობა. შარაშენიძის თანაგუნდელმა თ. ჩიხლაძემ III ადგილი დაისაკუთრა (552) და კოლექტივს 6 ქულა შესძინა.

მცირეკალიბრიანი პისტოლეტით შავ სამიზნეებზე (20+20+20) მსროლელები ამაოდ დაშვრნენ. უნივერსიადის ჩემპიონობა, მართალია, ღვინერიას დარჩა (528 ქულა), მაგრამ გუნდისთვის ჩათვლა რომ მიეცა, საამისოდ 2 ქულა არ ეყო.

ვაჟთა შეჯიბრებაში პოლიტექნიკური ინსტიტუტის ნაკრების უპირატესობა აშკარა იყო. ექვს ვარჯიშში მომავალმა ინჟინრებმა 12 საპრიზო ადგილი დაიკავეს და ამდენივე ჩათვლა მიიღეს. მათგან ყველაზე უკეთ იასპარეზეს სპორტის ოსტატებმა მ. ჟამურაშვილმა და ე. აბაჯიანმა, რომლებმაც ორ-ორი ვარჯიში მოიგეს. სამხატვრო აკადემიის წარმომადგენელი ა. დიღმელაშვილი ერთადერთი იყო, რომელმაც სპორტის ოსტატობის ნორმატივი შეასრულა (მცირეკალიბრიანი პისტოლეტით შავ სამიზნეებზე სროლაში).

• • •

გაგაცნობთ იმ ვაჟთა შედეგებს, რომლებმაც ჩათვლები მიიღეს:

**მცირეკალიბრიანი შაშხანა.** სტანდარტზე (3×20) სროლა. აბაჯიანი — 566, ს. ფარულავა (სპი) — 553. წოლილა 60 გასროლა. აბაჯიანი — 590, ფარულავა — 586.

**მცირეკალიბრიანი პისტოლეტი.** შავ სამიზნეებზე სროლა. დიღმელაშვილი — 550, ჟამურაშვილი — 538, გ. გალოგრე (სპი) — 534. **ხუთ სილუეტზე სროლა.** ჟამურაშვილი — 580, დიღმელაშვილი — 572, გალოგრე — 566. **შავ სამიზნეებზე (20+20+20) სროლა.** ჟამურაშვილი — 556, გ. კეჩხუაშვილი (სპი) — 545.

• • •

საერთო გუნდურ ჩათვლაში მომავალმა ინჟინრებმა გაიმარჯვეს — 100 ქულა. ამ წარმატებაში სათანადო წვლილი შეიტანა ვ. სკრინიკოვმაც, რომელიც უნივერსიადის დღეებში მინსკში საკავშირო ტურნირში გამოდიოდა და იქ მოპოვებული შედეგებით პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდს ორი ჩათვლა მისცა: მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლილა 60 გასროლით 588 ქულა დააგროვა, პნევმატური შაშხანით შეჯიბრებაში კი 364.

გუნდურ II ადგილზეა თბილისის პედინსტიტუტი — 26 ქულა, III — ქუთაისის კოლექტივი — 24.

**თ. ლეკიშვილი,**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.
**ქ. ძიმისტარიშვილი.**



მოსწავლეთა რესპუბლიკური...

# ცვლას მეტი ყურადღება!

წყალბურთელთა ასპარეზობა თბილისელ მოსწავლეთა დამაჯერებელი გამარჯვებით დამთავრდა. ამ ტურნირში თბილისელებმა მშვენივრად ითამაშეს. ისინი კარგად ცურავენ, ტექნიკურადაც სათანადოდ არიან მომზადებული და თამაშის ტაქტიკური წყობაც სანაქებოდ აქვთ დამუშავებული.

ერთი დიდი ხარვეზი უშლის ხელს ქართველ ნორჩ წყალბურთელთა ოსტატობის სრულყოფას — საქალაქთაშორისო შეხვედრების ძუნწი კალენდარი. თუ მათი თანატოლები სხვა რესპუბლიკებიდან, ქალაქების, ოლქების, საუწყებო და საკავშირო პირველობების გარდა, საერთაშორისო შეჯიბრებებსაც ატარებენ, ჩვენს ნორჩ წყალბურთელებს წელიწადში მხოლოდ ათიოდე შეხვედრა უწევთ და ისიც არაოფიციალურ ტურნირებში.

ისიც უნდა ითქვას, რომ ბაზების ხელმძღვანელები მეტისმეტ სიძუნწეს იჩენენ და ნორჩ წყალბურთელებს ვარჯიშისთვის ნაკლებ დროს უთმობენ.

ასეთ პირობებში ძნელია ოსტატთა გუნდებისთვის სათანადო ცვლის აღზრდა. სპორტსკოლებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან ერთად ამთავრებენ 16 წლის ჭაბუკები. მათ 19 წლის ასაკამდე უწევთ ჭაბუკთა გუნდებში თამაში, შემდეგ კი 22 წლამდე იუნიორთა კოლექტივებში გამოდიან. აი, ამ ასაკში ყალიბდებიან ისინი ოსტატთა სრულფასოვან ცვლად. სპორტსკოლების მწვრთნელები იძულებული არიან გამოუშვან სკოლებიდან 16 წლის ჭაბუკები და მათი უმეტესობა დიდი წყალბურთისთვის იკარგება. თუ რომელიმე მათგანი ოსტატთა გუნდში მოხვდა, ის ჯერ კიდევ სუსტია, როგორც ფიზიკურად, ისე ტექნიკურად და ტაქტიკურადაც. ერთი სიტყვით, იუნიორთა ჯგუფებთან ცალკე ვარჯიშია საჭირო, ოსტატთა გუნდებს კი საამისოდ შესაძლებლობები არ გააჩნიათ (აუზი, მწვრთნელი, ინვენტარი, სპორტლონისძიებათა კალენდარი).

მისასალმებელია, რომ აფხაზეთის გუნდი კვლავ ჩაერთო სპარტაკიადაში. მართალია, აფხაზეთის წარმომადგენლებმა ყველა შეხვედრა წააგეს, მაგრამ ისინი 2-3 წლით უმცროსი არიან ხეტოქეებზე და მომავალში თავის თანატოლებთან შეჯიბრებებში ალბათ საპრიზო ადგილზე გასვლის პრეტენდენტებიც იქნებიან.

სპარტაკიადამ გამოავლინა პერსპექტიული ნორჩი წყალბურთელები. ზ. გოგუა, ნ. მელაძე, დ. ყარანგოზაშვილი, ი. ტოკარენკო, ვ. მარგველაშვილი (ყველა — თბილისი), ი. უგლავა, ნ. მაღლაფერიძე და ა. ურჩაძე (სამივე — ქუთაისი), დ. მახარაძე და რ. ჟორდანია (ორივე — აჭარა). იმედია, სტუდენტთა კოლექტივებში ისინი დახვეწენ ოსტატობას და იუნიორთა ასაკში ოსტატ წყალბურთელთა გუნდებს შეავსებენ.

**ვ. ბარნაბიშვილი,**
საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

# სარაიონთაშორისო

დოსააფის ზუგდიდის რაიონულმა კომიტეტმა ამას წინათ ჩაატარა სარაიონთაშორისო პირად-გუნდური პირველობა ავტომრავალჭიდში. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ ჩხოროწყუს, გალის, წალენჯიხის, ხობისა და ზუგდიდის რაიონული კომიტეტების ნაკრები კოლექტივები.

საერთო გუნდური I ადგილი დაიკავა ზუგდიდის ნაკრებმა. II ადგილზეა გალის რაიონის კოლექტივი, III — ხობის რაიონის გუნდი.

პირად პირველობაში იმარჯვა შ. კვარაცხელიამ (წალენჯიხა). II ადგილზეა ბ ბუკია (ზუგდიდი), III — ი. კიკალეიშვილი (გალი).

**ბ. ალშიბაია.**
(ჩვენი კორ.).

ზუგდიდი.

იუმორესკა

# ოპერაცია „სიარულის ყაიდა“

— ნახე, ნახე, რა ლამაზად დადის, არ გინდა ცოტა მაინც დაემგვანო? ბატივით რომ დალაზლაზებ. ნეტა რისთვის გიტარებენ სკოლაში ფიზკულტურის გაკვეთილებს!

— ბიჭო, რას დაიზლაზნები, რა ყაიდაზე დადიხარ, — ჩამძახიან ამხანაგები.

— არა, არა, დიდი დაბდური ხარ, რამდენიც უნდა გეჩიჩინოს კაცი, მაინც ორ ნაბიჯს ვერ გადადგამ ადამიანურად. მე შენთან ერთად ველარ გავივლი, შენს შემყურეს ლამის დამბლა დამეცეს, — ხან ერთი მეტყოდა, ხან მეორე.

— ვინც შემხვდა, ყველამ მითხრა-კარგი ბიჭია, მაგრამ სიარულის ყაიდა არ უვარგაო. — ეს სიტყვები ეკუთვნით ჩემს საყვარელ დედას, დას, დიდედას, პაპას, მამას, ბიძას, ბიცოლას, წარმოიდგინეთ, პატარა მაიასა და ირაკლისაც კი.

მოვიკლა თავი? უშნოდ დავდივარ, მაგრამ რა ვქნა, ბევრი ვიფიქრე, ბევრი თავი ვიმტვრიე და ბოლოს აი, რა მოვიფიქრე: ქუჩაში ავედევნები ვინმეს, კარგი მიხრა-მოხრით რომ მომეწონება, უკან გავყვები და ვისწავლი სიარულს, აბა რა ღმერთი გამიწყრება.

მაშ ასე: დავიწყე ოპერაცია „სიარულის ყაიდა“. დილის 10 საათზე გავედი შინიდან. სულ მალე შემხვდა ერთი ძია, ისეთი, მე რომ მინდოდა. მომეწონა და ავედევნე ლანდივით. ის მიდის, მე უკან მივყვები. წყალს დალევს, გაჩერდება, მეც ვჩერდები და მერე ისევ მივყვები... უცებ ეს კაცი გაჩერდა და გაზეთები იყიდა. მე თავი ვერ შევიკავე და წინ წავედი, უცებ იმ ძიამ გაზეთები დახლზე მიატოვა და მე გამომეკიდა. მივდივარ, მომდევს, წყალს დავლევ, მიცდის, წავედი წინ, ისიც მომყვება. არ ვიცი რა უნდა ჩემგან. დიდი-დიდი, ნახევარ საათს ვდიე, რა დავაშავე ასეთი? ძალიან შევშინდი. საათს შევხედე. შვიდის ნახევარი გამხდარა... თითქმის ათი საათია დავდივარ, ხან ჭავჭავაძის ქუჩას ავუყვები, ხან დიღმის მასივიაკენ გავუხვევ. აღარ ვიცი, რა წყალში ჩავვარდე.

არ ვიცი როდემდე გაგრძელდებოდა ეს ჩვენი მარათონული ორთაბრძოლა, მაგრამ მე ვეღარ გავუძელი, გულმოსული მივუბრუნდი და შევუყვირე:

— რა გნებავთ ჩემგან?

— უკაცრავად, ყმაწვილო, შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ სიარულის ყაიდას ვისწორებ და იმიტომ დაგდევთ უკან...

—სიარულის ყაიდა!— წარმოვთქვი და გულწასული გავიშხლართე.

არ ვიცი, შემდეგ რა მოხდა, მაგრამ თვალი რომ გავახილე, საავადმყოფოს პალატაში ვიწექი. უცებ ის ძია დავინახე. მომვარდა და ჩამეხვია.

— გაილვიძეთ? რომ იცოდეთ, რა მადლობელი ვარ, იმ დღის შემდეგ ყველა მეუბნება, სიარულის ყაიდა გამოგისწორებიაო.

აღარ ვიცოდი, რა მექნა. სიბრაზისგან აცახცახებულმა ბალიშს ხელი დავავლე და აბეზარ სტუმარს ვესროლე.

— წყეულიმც იყოს ეგ თქვენი სიარულის ყაიდა!

**გიორგი ენუქიძე,**
თბილისის 53-ე საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი

## სსრ კავშირის პირველობა

7 ივლისს ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „სპარტაკი“ და ერევნის „არარატი“.

გაიმარჯვეს სტუმრებმა — ერევნელმა ფეხბურთელებმა — 1:0. ეს ერთადერთი ბურთი „სპარტაკის“ კარში 57-ე წუთზე გაიტანა ნახევარმცველმა ანდრიასიანმა.

უმაღლესი ლიგა

I ლიგა

7 ივლისს გაიმართა მორიგი ტურის მატჩები.

ქუთაისის ტორპედოელები აშხაბადში შეხვდნენ ადგილობრივ „სტროიტელს“ და ფრედ დაამთავრეს მატჩი — 1:1.

სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: „ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „შახტიორი“ (ყარაგანდა) 2:0, „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) 2:1, „კრივბასი“ (კრივოი როგი) — „ზვეზდა“ (პერმი) 2:2, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) 2:0, „დინამო“ (ლენინგრადი) — „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) 0:2, „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „შახტიორი“ (დონეცკი) 2:1, „პამირი“ (დუშანბე) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 2:1, „ალგა“ (ფრუნზე) — „ავტომობილისტი“ (ნალჩიკი) 2:0.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 9 ივლისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ფახთაქორი“ | 17 | 12 | 3 | 2 | 29—14 | 27 |
| „ჩერნომორ.“ | 17 | 11 | 4 | 2 | 35—13 | 26 |
| „ტორპედო“ | 17 | 10 | 2 | 5 | 27—11 | 22 |
| „პამირი“ | 17 | 9 | 4 | 4 | 24—19 | 22 |
| „შახტ.“ (დ.) | 18 | 6 | 9 | 3 | 22—12 | 21 |
| „ზვეზდა“ | 17 | 8 | 5 | 4 | 18—15 | 21 |
| „ალგა“ | 17 | 6 | 7 | 4 | 18—11 | 19 |
| „სპარტაკი“ | 18 | 7 | 5 | 6 | 22—21 | 19 |
| „კრ. სოვეტ.“ | 17 | 4 | 11 | 2 | 17—18 | 19 |
| „შინიკი“ | 17 | 7 | 4 | 6 | 15—14 | 18 |
| „შახტ.“ (ყ.) | 17 | 5 | 7 | 5 | 15—14 | 17 |
| „მეტალის.“ | 17 | 5 | 6 | 6 | 16—17 | 16 |
| „ავტომობ.“ | 17 | 4 | 7 | 6 | 14—18 | 15 |
| „მეტალურ.“ | 17 | 5 | 4 | 8 | 24—23 | 14 |
| „სტროიტ.“ | 17 | 5 | 4 | 8 | 18—31 | 14 |
| „დინამო“ | 17 | 3 | 6 | 8 | 11—21 | 12 |
| „კრივბასი“ | 17 | 3 | 6 | 8 | 23—34 | 12 |
| „ნისტრუ“ | 17 | 4 | 4 | 9 | 12—23 | 12 |
| „ტექსტილ.“ | 17 | 2 | 5 | 10 | 12—30 | 9 |
| „ურალმაში“ | 17 | 1 | 5 | 11 | 15—28 | 7 |

## პრეზიდიუმმა განიხილა

პროფკავშირების სპორტსაზოგადოებათა საკავშირო საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა სსრ კავშირის ნაკრებ გუნდში პროფკავშირული კლუბების ფეხბურთელთა გამოსვლების შედეგები. განხილვას წინ უძღვოდა ოსტატთა გუნდებში ჩატარებული სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის საფუძვლიანი შემოწმება.

პრეზიდიუმმა გადაწყვიტა პროფკავშირების ყველა საფეხბურთო კლუბს განსახილველად დაუგზავნოს საკავშირო საბჭოს წერილი, სადაც მოყვანილია ოსტატთა გუნდების სპორტული საქმიანობის შემოწმების შედეგები.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ არადამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს ევროპის 1972 წლის ჩემპიონატის ფინალში სსრ კავშირის ნაკრებში პროფკავშირული გუნდების ფეხბურთელების ა. ბანიშევსკის, ა. კონკოვისა და ე. კოზინკევიჩის გამოსვლა.

შეუძლებლად ჩაითვალოს ა. ბანიშევსკის შემდგომი რეკომენდება სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებში შესაყვანად.

დისციპლინისა და სპორტული რეჟიმის არაერთგზის დარღვევისთვის მიზანშეუწონლად იქნეს მიჩნეული ნ. აბრამოვის („სპარტაკი“, მოსკოვი) შეყვანა სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებში.

არასწორად იქნეს მიჩნეული სპორტსმენთა ჩარიცხვის პრაქტიკა სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებში კლუბებისა და სპორტსაზოგადოებათა შესაბამისი საბჭოების ურეკომენდაციოდ.

პრეზიდიუმმა მოითხოვა ოსტატთა გუნდებიდან გაირიცხონ მოთამაშეები, რომლებიც არღვევენ დისციპლინასა და რეჟიმს, არ სურთ აიმაღლონ ოსტატობა.

## 5 შეკითხვა — 5 პასუხი

„სპორტლოტოს“ გათამაშებასთან დაკავშირებით „ლელოს“ მკითხველებმა (თბილისელებმა გ. ნასყიდაშვილმა, შ. ფირცხალაიშვილმა, თ. ვარდოსანიძემ, რუსთაველმა ვ. ქაფიანიძემ და გორელმა ყ. ჩალაურმა) 5 შეკითხვით მოგვმართეს. ვბეჭდავთ ამ შეკითხვებს და ჩვენს პასუხებსაც.

1. თუ რამდენიმე კაცმა ამოიცნო ექვსივე ციფრი, ყველა მიიღებს თუ არა უკლებლივ 5 ათას მანეთს?

2. ვთქვათ, მოსკოვში შეძენილი ბილეთი ყუთში თბილისში ჩავუშვით, მიიღებს თუ არა მონაწილეობას ეს ბილეთი გათამაშებაში, ან მოგებას რომელი ზონალური სამმართველო აგვინაზღაურებს — თბილისისა თუ მოსკოვისა?

3. გაიყიდება თუ არა „სპორტლოტოს“ ბილეთები გორში?

4. რატომაა განსხვავებული მოგებული თანხის რაოდენობა „სპორტლოტოს“ ტირაჟებში?

5. შეცდომით ყუთში ჩავუშვი „А“ ტალონი, რომელიც მე უნდა დამეტოვებინა. შეიძლება მისი უკან დაბრუნება?

◆ თუ რამდენიმე კაცმა ექვსივე ციფრი ამოიცნო, თითოეულმა 5000 მანეთი უნდა მიიღოს. თანხის რაოდენობა რამდენადმე შემცირდება იმ შემთხვევაში, თუ ამ კატეგორიის მოგებებისთვის განკუთვნილი თანხა (მოგებათა საერთო ფონდის 10 პროცენტი) საკმარისი არ აღმოჩნდება.

◆ მოსკოვში ნაყიდი ბილეთის ყუთში ჩაშვება თბილისში შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ დადგენილ ვადებს არ დავარღვევთ. ამ ბილეთით მოგებული თანხის ანაზღაურება თბილისშივე შეიძლება.

◆ გორში უახლოეს ხანში გაიხსნება „სპორტლოტოს“ სააგენტო და იქაურ მცხოვრებთ საშუალება მიეცემათ თავიანთ ქალაქში იყიდონ „სპორტლოტოს“ ბილეთები.

◆ მოგებული თანხის რაოდენობა დამოკიდებულია იმ პირთა რიცხვზე, რომლებიც გათამაშებაში 3, 4, 5 ან 6 ციფრს ამოიცნობენ. მოგებებისთვის განკუთვნილი თანხა (გაყიდული ბილეთების შემოსავლის 50 პროცენტი) ნაწილდება შემდეგნაირად: 6 ამოცნობილი ციფრისთვის მოგებათა თანხის 10 პროცენტი, 5 ციფრისთვის — 20 პროცენტი, 4 ციფრისთვის — 30 პროცენტი, 3 ციფრისთვის — 40 პროცენტი. როცა ცნობილი გახდება მოგებათა რიცხვი ყველა ზონალურ სამმართველოში, ცალკეული მოგებებისთვის განკუთვნილი თანხა გაიყოფა ტირაჟში ცალკეული კატეგორიების მიხედვით მოგებულთა რიცხვზე.

თუ ვინმემ „Б“ და „В“ ტალონის ნაცვლად ყუთში „А“ ტალონი ჩაუშვა, მას შეუძლია ეს განაცხადოს „სპორტლოტოს“ ზონალურ სამმართველოში და ტალონებს შეუცვლიან. მაგრამ ეს უნდა გაკეთდეს არა უგვიანეს თვის 9, 19 და 29 რიცხვისა.

## ზეთისხილის რტო

ფრანგ მწერალს ანდრე მორუას უთქვამს: ბედნიერი უნდა იყოს ის კაცი, ვინც სიბერეში თავისი სიჭაბუკის ოცნების ახდენას მოესწრებაო. ეს ნათქვამი გახლავთ ბარონ პიერ დე კუბერტენზე, რომელმაც თავისი ცხოვრების მრავალი წელი თანამედროვეობის ოლიმპიური თამაშების ორგანიზაციას შესწირა. ბედნიერი იყო კუბერტენი? ალბათ იყო. იგი, რასაკვირველია, მთლიანად ვერ განჭვრეტდა მისი პირმშოს ასეთ უსწრაფეს განვითარებას. მაგრამ კუბერტენი მოესწრო ჩასახვას ერთი ყველაზე მძლავრი და გამაერთიანებელი მოძრაობისას, რომელიც თანდათან სულ უფრო მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ჩვენს წინააღმდეგობებით აღსავსე და სწრაფად ცვალებად სამყაროში. მან არა მარტო რამდენიმე ასეულ ახალგაზრდას მოუყარა თავი საერთაშორისო შეჯიბრების სარბიელზე, არამედ სტარტი მისცა ახალ ჰუმანისტურ მოძრაობასაც. ამ მოძრაობის არსი შემდეგი ფორმულით შეიძლება გამოიხატოს: „ოლიმპიზმის მიზანია თავი მოუყაროს ყოველივე ნათელსა და კეთილშობილს, რამაც ადამიანის სრულყოფას უნდა შეუწყოს ხელი“.

შავ მარმარილოზე ამოკვეთილი ეს სიტყვები პირველად ლოზანის მონრეპოს პარკში, „პიერ კუბერტენის სახელობის ოლიმპიური მუზეუმის“ ვესტიბიულში წავიკითხე. მაშინ მუზეუმის დარბაზებში მე ამ გამოთქმის ღრმა აზრზე ვფიქრობდი. კუბერტენის სიტყვები ხომ მარტო ფიზიკურ სრულყოფას არ ეხებოდა, პიროვნების, ადამიანის მორალური სახის ჩამოყალიბებასაც გულისხმობდა. მაშინ მე კიდევ იმას ვფიქრობდი, რამდენად მჭიდროდაა ოლიმპიადები დაკავშირებული კაცობრიობის ბედთან და რამდენად უწყობს ხელს მშვიდობას, რომლის სიმბოლოც მუდამ იყო ზეთისხილის რტო ადამიანის ხელში.

ოლიმპიურ თამაშებში უმთავრესად სწორედ ეს აზრი გვესახება. სწორედ ამიტომ ჰპოვა ოლიმპიურმა იდეებმა საბჭოთა კავშირში ასეთი მხარდაჭერა და პოპულარობა. ახალგაზრდობის გაერთიანება, პატიოსნური სპორტული მეტოქეობის, ურთიერთგაგების, მშვიდობის, მეგობრობის ატმოსფეროს შექმნა — განა ეს ერთ-ერთი ყველაზე კეთილშობილური მისია არ არის?

ოლიმპიური თამაშები სულ უფრო პოპულარული ხდება. ოლიმპიადები, თუ შეიძლება ითქვას, ფართოვდება და უდიდეს მასშტაბს აღწევს. ღრმავდება იდეურად და სულ უფრო არსებით გავლენას ახდენს ადამიანთა აზროვნებაზე.

დენვერსა და მონრეალში, 1976 წლის ზამთრისა და ზაფხულის ოლიმპიადების დედაქალაქებში, თამაშების წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტები შეიქმნა. ისინი მოიცავენ მოსახლეობის ჯგუფებს, რომლებიც უკმაყოფილონი არიან იმის გამო, რომ ოლიმპიური ასპარეზობის ორგანიზაცია დიდ თანხებს მოითხოვს. ამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ მცდარია აზრი, თითქოს დასავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში მარტო ეთიკური კრიტერიუმები განსაზღვრავენ მისწრაფებას ოლიმპიადის მასპინძლობისკენ. ზოგიერთი სამრეწველო-ფინანსური წრე თამაშების ჩატარების იდეას, პირველ ყოვლისა, დაკვეთებისა და მთელი იმ კომპლექსის პერსპექტივას უკავშირებს, რაც მუდამ ახლავს დიდ ანტრეპრიზებს, რომლებიც თავის მხრივ დიდ ინვესტიციასაც მოითხოვს. ამასთან, ხშირად გათვალისწინებული არ არის კონკრეტული ეკონომიური ვითარება და სოციალური ატმოსფერო, სხვა სიტყვებით, კონკრეტულ ადამიანთა დამოკიდებულება კონკრეტული ოლიმპიადისადმი. ყოველივე ეს იწვევს ისეთ მწვავე პრობლემებს, როგორიც გამოიწვია დენვერში, მაგალითად. ეს ვერასგზით ვერ შეუწყობს ხელს ოლიმპიური იდეების პოპულარობას.

ეჭვი არ არის, ოლიმპიადა დიდი საქმეა, თუ, როგორც მიუნხენში ამტკიცებენ, იგი ქალაქს ერთი ათი წლით მაინც სწევს წინ. ოლიმპიური თამაშები ქალაქს ხელს უწყობს საბინაო მშენებლობის, კომუნიკაციების, ტრანსპორტის, კომფორტის ისეთი დონის მიღწევაში, რაც ამ მძლავრი სტიმულის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. მაგრამ მთავარი, რასაკვირველია, ეს არ არის. როცა მოსკოვი თავის კანდიდატურას ასახელებს 1980 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლად, ეს მარტო იმიტომ კი არ ხდება, რომ დღეისთვის საბჭოთა კავშირის დედაქალაქი სპორტული თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე უკეთ მომზადებულია. არა, მთავარია, რომ თამაშების იდეამ უკვე დიდი მორალური მხარდაჭერა ჰპოვა მოსკოვისა და მთელი საბჭოთა ქვეყნის მოსახლეობაში. მოსკოვში არ შეიძლება წამოიჭრას პრობლემები, რაც დენვერისა და მონრეალის მოსახლეობას აწუხებს ოლიმპიური თამაშების ორგანიზაციასთან დაკავშირებით. ჩემი აზრით, აქ საქმე მარტო ის უპირატესობანი როდია, რასაც აუცილებლად ქმნის ეკონომიკის გეგმიანი სოციალისტური სისტემა. მთავარია, რომ საბჭოთა ხალხისთვის ახლობლურია თვად ოლიმპიური იდეა, რაც ემსახურება მშვიდობის საქმეს მთელს მსოფლიოში და ადამიანთა ურთიერთგაგებას, ეწინააღმდეგება რასობრივ, პოლიტიკურ, რელიგიურ დისკრიმინაციას, გამოხატავს სოციალიზმისთვის დამახასიათებელ ზნეობრივ იდეალებს.

სწორედ ამიტომაა, რომ ოლიმპიურ მოძრაობაში მონაწილეობის პირველი დღიდანვე საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები თანმიმდევრულად იბრძვიან ამ მოძრაობის პრინციპების განმტკიცებისთვის. მათი თაოსნობით წამოიჭრა ოლიმპიური მოძრაობიდან აპარტეიდის ქვეყნის — სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის წარმომადგენელთა გარიცხვის საკითხი. პირველ ყოვლისა მათი მონდომების შედეგია, რომ თვად რასიზმი, როგორც სახელმწიფოებრივი სისტემა, ამოიძირკვა ოლიმპიური მოძრაობიდან. ამ ფაქტის მნიშვნელობა ბევრად სცილდება სპორტის ფარგლებს.

თუ მოსკოვს 1980 წლის ოლიმპიადის დედაქალაქად აირჩევენ, აქ არ შეიძლება შეიქმნას ისეთი ვითარება, როგორიც მიუნხენში, სადაც სხვადასხვა სახის პოლიტიკური დაჯგუფებანი ცდილობენ თამაშები თავიანთი მიზნებისთვის გამოიყენონ. წარმოიდგინეთ, მათ დაგეგმილი აქვთ პროვოკაციული გამოსვლების მთელი კომპლექსი, რომელსაც სახელიც ზედგამოჭრილი ჰქვია: „ანტიოლიმპიადა“! ამგვარ ცდებს დაუნდობლად უნდა ვებრძოდეთ, რათა ოლიმპიური იდეები შოვინისტურ და ნაციონალისტურ შეხედულებათა პროპაგანდისთვის არ გამოიყენონ.

ოლიმპიადის მნიშვნელობა უსაზღვროა. მაგალითად, სრული უფლება გვაქვს ვილაპარაკოთ თამაშების საგანმანათლებლო მისიაზე, ვინაიდან იგი ხელს უწყობს ცოდნის გაღრმავებას მასპინძელი ქვეყნის კულტურაზე, ჩვეულებებზე, ინდუსტრიულ დონეზე, ეროვნულ ხასიათზე. ოლიმპიადების პროგრამაში სულ უფრო მეტი ადგილი ეთმობა კულტურის ფესტივალებს, რაც ასევე ხელს უწყობს ხალხთა დაახლოებას, მშვიდობას, მეგობრობას.

საბჭოთა კავშირში ოლიმპიური იდეები მიღებულია, როგორც საბჭოთა ადამიანის, ახალგაზრდა თაობის ფიზიკური და მორალური სრულყოფისთვის სახელმწიფოს ზრუნვის გამოხატულება. ეს იდეები განუყრელადაა დაკავშირებული არა მარტო ოსტატობის უმაღლეს დონესთან, არამედ მასობრივი სპორტის განვითარებასთანაც.

იქნებ ამიტომაა ასე პოპულარული საბჭოთა ქვეყანაში დევიზი: „ოლიმპიადა არა მარტო ოლიმპიელთათვის!“. ამ დევიზით ტარდება მასობრივი შეჯიბრებები სასოფლო და საქარხნო კლუბებში, მოსწავლეებსა და სტუდენტებს შორის. იგივე შეიძლება ითქვას „ოქროს შაიბის“ და „ტყავის ბურთის“ საკავშირო ტურნირებზე, რომლებიც ნორჩი ჰოკეისტებისა და ფეხბურთელებისთვის ეწყობა. ოლიმპიადისადმი ჩვენი სერიოზული დამოკიდებულება იმაშიც ჩანს, რომ საბჭოთა კავშირი სპორტის მსოფლიო ფორუმებზე გზავნის არა მარტო ძალიან ძლიერ გუნდებს, არამედ ისეთ კოლექტივებსაც, რომლებიც მრავალმხრივ წარმოგვიდგენენ სპორტის სხვადასხვა სახეობას. ეს თვალნათლივ აჩენს საბჭოთა ქვეყანაში სპორტის ჭეშმარიტი განვითარების სურათს. ჩვენ მარტო იმ სახეობებში კი არ გამოგვყავს სპორტსმენები, სადაც მედლების იმედი გვაქვს, არამედ იქაც, სადაც ჭერჭერობით მოყიკოლებთ, სამთოსათხილამურო სპორტში, მაგალითად. ეს კიდევ ერთი დადასტურებაა კუბერტენის მოწოდებისა: „მთავარია არა გამარჯვება, არამედ — მონაწილეობა“.

ეს ყოველივე სპორტული ალტრუიზმის გამოვლინებას სულაც არ ნიშნავს. გამარჯვებისკენ სწრაფვა სპორტის ბუნებაა. საბჭოთა ათლეტებმა ეს დაამტკიცეს ოლიმპიურ თამაშებში, დაწყებული პირველი სტარტიდან ამ ოცი წლის წინ, ჰელსინკში. ოლიმპიადისადმი დამოკიდებულება ჩანს აგრეთვე სპორტის არა ერთი ან რამდენიმე სახეობის, არამედ ყველა ოლიმპიური დისციპლინის განვითარებაში. თუნდაც არაოფიციალური ჩათვლის მედლები და ქულები არ ვიგულისხმოთ, თუნდაც ერთად ავილოთ ოლიმპიური პროგრამის ყველა სახეობაში მოპოვებული მიღწევები, საბჭოთა ოლიმპიური გუნდი ყველა ბოლო თამაშებში უფრო მომგებიანად გამოდის.

ცალკე უნდა ვილაპარაკოთ პიროვნებაზე ოლიმპიური იდეების გავლენის შესახებ საერთოდ. მაგონდება: ამ რამდენიმე წლის წინ, ევროპის ჩემპიონატზე მოსკოვში ფრანგ კალათბურთელთა მწვრთნელმა თქვა: „დარწმუნებული ვარ, კალათბურთს გაცილებით უკეთ თამაშობს ის ხალხი, რომელსაც კლასიკური მუსიკა უყვარს და ესმის“. ეს ალბათ ნიშნავს, რომ სპორტს სჭირდება არა „ცხოველები შეჯიბრებებისთვის“, როგორც პროფესიონალ სპორტსმენებს დასავლეთის ზოგიერთი სოციოლოგი ეძახის, არამედ ინტელექტუალური და მორალურად მდიდარი ადამიანები. უმეტესად სწორედ ეს ხალხი ტოვებს შესამჩნევ კვალს საბჭოთა სპორტში.

მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების მრავალგზის ჩემპიონი ძალოსნობაში ა. ვორობიოვი მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატია, მსოფლიო ჩემპიონი ყინულზე ცეკვაში ლ. პახომოვა თეატრალური ხელოვნების ინსტიტუტის ასპირანტია, მოჭიდავეები ალექსეი კისელიოვი და ვალერი პოპენჩენკო, რომელმაც ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში ბარკერის პრიზი მიიღო, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატები არიან, იგორ ტერ-ოვანესიანი კი პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატია. ევროპის 1966 წლის ჩემპიონი წყალბურთში და ტოკიოს ოლიმპიადის მესამე პრიზიორი ვ. კუზნეცოვი უმაღლესი მათემატიკის მასწავლებელია მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში. სხვათა შორის, ამ ცოტა ხნის წინ ეს სასწავლებელი დაამთავრა ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების, ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორმა ფიგურულ ციგურაობაში ს. ჩეტვერუხინმა. მორბენალი ლ. ჩისტიაკოვა ექიმია, პედიატრი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ჰოკეისტი ვ. იურზინოვი სპორტული ჟურნალისტია. მან წარმატებით დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტი და ახლა ხშირად ბეჭდავს მასალებს როგორც მოსკოვის, ისე ცენტრალურ პრესაში.

ამ სპორტსმენებისთვის, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ათლეტისთვის, სპორტი პროფესია კი არა, საყვარელი გატაცებაა, საყვარელი საქმეა. სსრ კავშირში პროფესიული სპორტი საერთოდ არ არსებობს. ქვეყნის საუკეთესო ათლეტები ფიზკულტურას თავისუფალ დროს ახმარენ და ჭეშმარიტად სოცარ შედეგებს აღწევენ, ხელს უწყობენ სპორტის პოპულარობას მთელს საბჭოთა კავშირში და პრაქტიკულად განახორციელებენ ოლიმპიურ დევიზს: „უფრო სწრაფად, უფრო მაღლა, უფრო ძლიერად!“.

ი. მარინოვი.

# მძიმე-ჩემპიონთა ბრძოლა

28 აგვისტოს ნიუ-იორკის „მედისონ სკვერ გარდენის“ რინგზე ერთმანეთს შეხვდება ორი ოლიმპიური ჩემპიონი, ორი ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის, ტყავის ხელთათმანის ორი უბადლო ოსტატი — ფლოიდ პატერსონი და მუჰამედ ალი. ეს ითქვა ნიუ-იორკში გამართულ პრეს-კონფერენციაზე, რომელსაც ორივე მოკრივე დაესწრო.

ისინი უკვე შეხვდნენ ერთმანეთს რინგზე ამ შვიდი წლის წინ, როცა ალი მსოფლიო ჩემპიონი იყო, ხოლო პატერსონი ამ ტიტულის დაბრუნებისთვის იბრძოდა. სხვათა შორის, პატერსონი პროფესიული კრივის ისტორიაში ერთადერთია, რომელმაც გვირგვინის დაკარგვის შემდეგ (1959 წელს მან წააგო შვედ ი. იუჰანსონთან) ერთი წლის თავზე მოწყობილ მატჩ-რევანშში დაიბრუნა ჩემპიონის სარტყელი — უძლიერესისთვის განკუთვნილი ჯილდო.

შვიდი წლის წინ მათი ბრძოლა „ცალმხრივი“ იყო — ფლოიდი უძლური აღმოჩნდა ენერგიითა და ძალით აღსავსე მუჰამედ ალის წინაშე. ალის მიეკუთვნა გამარჯვება „ტექნიკური ნოკაუტით“: მე-12 რაუნდში პატერსონმა ზურგის ტკივილი მოიმიზეზა და ბრძოლის გაგრძელებაზე უარი თქვა.

შემდეგი რამდენიმე წლის მანძილზე არც ერთი აღარ გამოსულა რინგზე. ალის აკრძალული ჰქონდა ასპარეზობა, ვინაიდან ვიეტნამში სამხრად წასვლაზე უარი თქვა, პატერსონმა კი სპორტი დატოვა. ახლა ფლოიდი 37 წლისაა, მაგრამ წლეულს თებერვალში დაამარცხა არგენტინელი მოკრივე ოსკარ ბონავენა, რომელიც მსოფლიოს უძლიერეს პროფესიონალ მოკრივეთა ათეულში შედის.

პატერსონს ჰკითხეს: დატოვებთ თუ არა რინგს სამუდამოდ, ალიმ რომ მოგიგოთო? მან უპასუხა: შეიძლება ასეც მოხდესო. ალიმ გააწყვეტინა: „არა, ფლოიდი თავს არ დაანებებს სპორტს. მას კრივი უყვარს, კრივის სიყვარულმა კი ძვალ-რბილში გაჯდომა იცის“. ამასთან, ფლოიდს ნათქვამი აქვს, თავს დიდებულად ვგრძნობ, ყოველ შემთხვევაში, ახლა უკეთ ვარ, ვიდრე ამ ხუთი წლის წინ ვიყავიო. „მე და თქვენ ერთნაირად ჯერ ვიქნებით 37 წლის ასაკში. არ დაგავიწყდეთ, რაც უნდა იყოს, სპორტსმენი ვარ“, — უთხრა პატერსონმა ჟურნალისტებს. პროფესიულ რინგზე ვეტერან მოკრივეს 54 ორთაბრძოლა აქვს ჩატარებული. აქედან მან 46 შეხვედრა მოიგო, 7 წააგო და 1 ფრედ დაამთავრა.

მუჰამედ ალიმ ერთის მხრივ სასწორზე შეაგდო თავისი მომავალი, როცა ესოდენ გამოცდილ მოკრივესთან შეხვედრაზე დასთანხმდა: თუ წააგო, იგი ამჟამინდელ მსოფლიო ჩემპიონთან, ჯო ფრეზიერთან მატჩ-რევანშის უფლებას კარგავს. არადა, საქმეში ჩახედულ ხალხში უკვე ლაპარაკია, ეს ორთაბრძოლა გაისად, იანვარ-თებერვალში უნდა მოეწყოსო. როგორც ჩანს, ალი დარწმუნებულია, რომ ჯერი ქვორის დამარცხების შემდეგ ანგარიშგასასწორებელი დარჩა ერთადერთ სერიოზულ მეტოქესთან — ფრეზიერთან. ყველა დანარჩენი შეხვედრა მას სპორტული ფორმის შესანარჩუნებლად და საკმაოდ მაღალი ჰონორარების მისაღებად სჭირდება.

როცა სიტყვა ჯო ფრეზიერზე ჩამოვარდა, ალიმ განაცხადა: არავის გალახვა ისე არ მწყურია, როგორც ფრეზიერისა. [illegible] მასთან შეხვედრისთვის და გამარჯვებამ კრედიტი ამას ყოველ [illegible] რინგზე [illegible] ლითო.

მთავარ ორთაბრძოლამდე ალი და პატერსონი „დაზვერვას“ მოაწყობენ: მუჰამედ ალი ივლისში დუბლინში შეხვდება ა. ლიუისს, ფლოიდი კი იმავე თვეში — პუერტორიკოელ პ. აგოსტოს.

ნიუ-იორკი, 8 ივლისი.

საქინფორმის [illegible]

# მე-13 რაუნდში

ნიუ-იორკის „მედისონ სკვერ გარდენში“ გაიმართა ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის მჩატე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის. ერთმანეთს შეხვდნენ ახალგაზრდა პანამელი რობერტო დიურანი და 26 წლის შოტლანდიელი კენ ბუჩენანი.

მიმდინარეობდა მე-13 რაუნდი, როცა მატჩის არბიტრმა ბრძოლა შეწყვიტა და გამარჯვების ნიშნად მარჯვენა ხელი აუწია 21 წლის დიურანს.

ამრიგად, მჩატე წონაში მსოფლიო ჩემპიონი გახდა პანამელი რ. დიურანი, რაც ერთგვარად მოულოდნელი იყო, ვინაიდან შოტლანდიელი ბუჩენანი გაცილებით გამოცდილი მოკრივეა. ეს მისი კარიერის მანძილზე მეორე წაგება გახლდათ (სულ ბუჩენანმა 45 ბრძოლა ჩაატარა). შოტლანდიელმა მატჩ-რევანშის ჩატარება ისურვა.

როგორც ჩემპიონის მწვრთნელმა კ. ილეტამ განაცხადა, მატჩ-რევანში ალბათ ნოემბერში გაიმართება.

საკუთარი ინფორმაცია

# ფეხბურთის უცხოეთის კალეიდოსკოპი

## ჰერსტი „სტოკ-სიტის“ ჩოხას იზომებს

„სტოკ-სიტის“ მწვრთნელმა ტ. უოდინგტონმა განაცხადა, რომ „ვესტ ჰემ იუნაიტედისა“ და ინგლისის ნაკრების თავდამსხმელი ჯ. ჰერსტი ნამდვილად გადავა „სტოკ-სიტიში“. ეს კლუბი „ვესტ ჰემს“ დაახლოებით 70 ათას გირვანქა სტერლინგს გადაუხდის.

ჰერსტი ახლა დასასვენებლად ესპანეთშია წასული. უოდინგტონი მას ტელეფონით ესაუბრა, რის შემდეგაც განაცხადა: „ეს ჩვენთვის ძალიან ხელსაყრელი შეთანხმებაა. ჰერსტი ერთგული და გამოცდილი პროფესიონალი გახლავთ, ისევე როგორც ჩვენი გორდონ ბენქსი. დარწმუნებული ვარ, რომ ჯეფი დაგვეხმარება შედეგიანობის ამაღლებაში და შეჯიბრებებშიც მეტი წარმატებით გამოვალთ“.

ესპანეთიდან დაბრუნებისთანავე ჰერსტი „სტოკ-სიტის“ შეუერთდება.

# ოლიმპიური

მიუნხენის ოლიმპიადის მისადგომებთან განსაკუთრებით მწვავე ბრძოლა გაჩაღდა ჭოკით ხტომის ორ უბადლო ოსტატს — ამერიკელ ბობ სიგრენსა და შვედ ჩელ იზაქსონს შორის.

როგორც ცნობილია, ამ ცოტა ხნის წინ სიგრენმა და იზაქსონმა მსოფლიო რეკორდი დაამყარეს — 559 სმ სიმაღლე გადალახეს. ამის შემდეგ იზაქსონმა რამდენიმეჯერ შეუტია 560 სანტიმეტრს, მაგრამ ამაოდ. და აი, ამ ერთი კვირის წინ იუჯინიდან (ორეგონის შტატი) მოვიდა ცნობა, რომ ამერიკელი მძლეოსნების შესარჩევ შეჯიბრებაში სიგრენმა 563 სმ დაძლია და მსოფლიო რეკორდი დაამყარა.



ს უ რ ა თ ზ ე: მეხიკოს ოლიმპიადის პრიზიორები (მარცხნიდან) — ვოლფგანგ ნორდვიგი (გდრ, III ადგილი), ბობ სიგრენი (აშშ, I ადგილი), კლაუს შიპროვსკი (გფრ, II ადგილი).

## მოკლედ

● გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ათასმა ტურისტმა მიიღო XX ოლიმპიურ თამაშებზე დასწრების ნებართვა. ასეთი დიდი ჯგუფი გდრ-ის ტურისტებისა არასდროს ჩასულა დასავლეთ გერმანიაში. როგორც იტყობინებიან, ოლიმპიადის ორგანიზატორებმა გდრ-ის სპორტის მოყვარულებს 20 ათასი შესასვლელი ბილეთი გამოუყვეს.

● ავსტრალიელ მოცურავეებს გადაწყვეტილი აქვთ ბუნტი მოაწყონ მიუნხენში, თუ მათი თანამემამულეების გამარჯვებას დიდი ბრიტანეთის ჰიმნით აღნიშნავენ. ქალთა გუნდის კაპიტანმა კ. მორასმა განაცხადა, რომ ავსტრალიელებს მობეზრდათ ინგლისური „ღმერთო, დედოფალს ჰფარვიდე“. ასეთივე აზრი დაადასტურა ავსტრალიაში ჩატარებულმა რეფერენდუმმა: ეროვნულ ჰიმნს მხარი დაუჭირა რეფერენდუმის მონაწილეთა 86 პროცენტმა. ლეიბორისტულმა პარტიამ ავსტრალიის ჰიმნის საკითხი შეიტანა თავის წინასაარჩევნო პროგრამაში (როგორც ცნობილია, წლეულს უნდა მოეწყოს არჩევნები ავსტრალიის საკანონმდებლო ორგანოებში). ზოგიერთი სპორტსმენი მოითხოვს, რომ ზურგი შეაქციონ ალამს, თუ მიუნხენში შესრულდება „ღმერთო, დედოფალს ჰფარვიდე“.

● როგორც ფრანგული გაზეთი „ეკიპი“ იუწყება, გფრ-ის პრეზიდენტი, 72 წლის გ. ჰაინემანი სპორტის დიდი თაყვანისმცემელია, ოლიმპიური თამაშების პერიოდში მას საკმაოდ გადატვირთული პროგრამა ექნება. 25 აგვისტოს პრეზიდენტი ჩავა მიუნხენში სამი ხიროსიმელი მოსწავლის თანხლებით (მათ პირადად პრეზიდენტი იწვევს).

26 აგვისტოს ობერვიზენფელდის სტადიონზე გ. ჰაინემანი გახსნის ოლიმპიურ თამაშებს. ამის შემდეგ დასავლეთ გერმანიის სახელმწიფოს მეთაური რამდენიმე დღეს დაჰყოფს ბავარიის დედაქალაქში. იგი დაესწრება შეჯიბრებებს, დაათვალიერებს ოლიმპიურ ნაგებობებს, მიიღებს ოლიმპიური თამაშების ყოფილ ჩემპიონებს. 3 და 4 სექტემბერს პრეზიდენტი კილში გაატარებს, 10 სექტემბერს კი მიუნჰენში დაბრუნდება და ოლიმპიურ თამაშებს დახურავს.

● მიუნხენის თამაშები ხელსაყრელი ასპარეზი იქნება ოლიმპიური ბიზნესმენებისთვის. ფირმა „ატლასმა“, რომელმაც საორგანიზაციო კომიტეტისგან მიიღო დაკვეთები ემბლემებისა და სუვენირების დამზადებაზე, ფართო საქმიანობა გაშალა და ასობით ხელსაყრელი კონტრაქტი დადო კომერციულ ფირმებთან. სააქციო საზოგადოება „ექსტანსიონ 21“-მა, რომელიც ლიცენზიებით ვაჭრობს საფრანგეთში, ესპანეთში, ბელგიაში, პორტუგალიასა და აფრიკის ქვეყნებში, უამრავი საქონელი დაამზადა ოლიმპიური ემბლემით. დასავლეთგერმანულმა ფირმამ „ოლიმპიკსუვენირმა“, რომლის გენერალური დირექტორი პიერ დე კუბერტენის ღვიძლი თაყვანისმცემელია, უკვე გააჩაღა ვაჭრობა ოლიმპიური სუვენირებით.

● იაპონიის ოლიმპიურმა კომიტეტმა ოფიციალურად განაცხადა, რომ მიუნხენში გაემგზავრება 179 სპორტსმენი და 38 ოფიციალური წარმომადგენელი. ამ სიაში, რა თქმა უნდა, არ არის შეყვანილი ჟურნალისტთა და კინოოპერატორთა დიდი ჯგუფი.

● მიუნხენში გამოვა ისრაელის 15 სპორტსმენი. ამას გარდა, ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტი იმედოვნებს, რომ




კალათბურთელთა გუნდი მოიპოვებს თამაშებში მონაწილეობის უფლებას.

● პოლონეთის სპორტის ხელმძღვანელებმა გამოაქვეყნეს იმ სპორტსმენთა სია, რომლებსაც უკვე განაღდებული აქვთ ოლიმპიური ვიზები. მიუნხენში გამოვა 21 მოკრივე, 14 ტანმოვარჯიშე, 8 ცხენოსანი, 10 ძიუდოისტი, 28 ველოსიპედისტი, 58 მძლეოსანი, 9 მშვილდოსანი, 12 მოცურავე, თანამედროვე ხუთჭიდის 3 ოსტატი, 15 ძალოსანი, 12 მსროლელი, 21 მოფარიკავე, 26 მოჭიდავე, 45 ნიჩბოსანი, 9 აფროსანი. ამას გარდა, პოლონეთს გუნდურ ასპარეზობებში მონაწილეობის იმედიც აქვს.

● სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რეკორდსმენმა ბადროს ტყორცნაში ჯონ ვან რენენმა გადაწყვიტა ჰოლანდიის ქვეშევრდომობა მიიღოს. იგი ამ გზით აპირებს ოლიმპიადაში მონაწილეობას. აშშ-ს ყოფილი ჩემპიონი სტუდენტთა შორის (რენენი ვაშინგტონის უნივერსიტეტში სწავლობდა) ცდილობს გამოიყენოს თავისი უფლებები, ვინაიდან მისი წინაპრები ჰოლანდიელები ყოფილან. პოპულარული მტყორცნელი გაჰყვა თავისი თანამემამულის მ. ფიასკონაროს (400 მეტრზე მორბენალი) გზას, რომელმაც ქვეშევრდომობა შეიცვალა და საერთაშორისო ფედერაციისგან შეჯიბრებებში მონაწილეობის უფლება მიიღო.

# ემოზაიკა

# უიმბლდონის კორტებზე

„ლელოს“ 2 ივლისის ნომერში გამოქვეყნებული იყო უიმბლდონის ტურნირში მონაწილე ჩოგბურთელ ვაჟთა შემადგენლობის ნახევარი. დღეს ვაქვეყნებთ ვაჟთა სიის მეორე ნაწილს და ქალთა მთლიან შემადგენლობას.

ვაჟები: სტოკტონი, ტენერი, გორმანი, ვან დილენი, სტიუარტი, გერკენი, სიკაგენი (ყველა — აშშ), კროლი, ფილიპს-მური, მაკდონალდი, დიბლი, მესტერსი (ყველა — ავსტრალია), გოვენი, პრუაზი, ჟოფრე, ბარტე (ყველა — საფრანგეთი), ამრიტრაი, ვ. ამრიტრაი ლალი (ყველა — ინდოეთი), ლოიდი, პეიში, ფივერი (ყველა — დიდი ბრიტანეთი), ჰრებეცი, კუკალი (ორივე — ჩეხოსლოვაკია), ვილასი, ვასკესი (ორივე — არგენტინა), გისბერტი, ორანტესი (ორივე — ესპანეთი), კოჩი, მანდარინო (ორივე — ბრაზილია), ველასკო, მოლინა (ორივე — კოლუმბია), ლოიო-მაიო (მექსიკა), მიგნო (ბელგია), მაილერი (გფრ), ზარაზუეტი (იტალია), მური (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა), ნესტასე (რუმინეთი), კამივაცუმი (იაპონია), პინტო ბრავო (ჩილი), ტ. ულრიხი (დანია), ბენგსტონი (შვეცია).

ქალები: კარტერ-ტრიოლო, ნიუბერი, ტიგარდენი, გიუნტერი, ეიზელი, გრებნერი, ჰიგეონი, ევერტი, ზიგენფუსი, ენტონი, კაზალსი, ჰოგანი, ეპლები, ო'შოუნესი, კემერი, კინგი, უოლში, ტუერო (ყველა — აშშ), კუპერი, კოვი, მაპინი, ბარტონი, ჰევენი, ჩარლზი, მოულსვორსი, ბრეშერი, კოულსი, მინფორდი, შოუ, რისტე, ფეიტერი, უეიდი (ყველა — დიდი ბრიტანეთი), ფოლკნერი, ჰანტი, მელვილი, გულაგონგი, გილკრისტი, ამოსი, ტურნბალი, ჰარისი, დოერნერი, ჰოუკროფტი, კრანცკე, ლანკასტერი (ყველა — ავსტრალია), როზოუვი, კირკი, პეტისონი, პრეტორიუსი (ყველა—სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა), დიური, შანფრო, ფუქსი, რუბინი (ყველა — საფრანგეთი), სტოუვი, უოლჰოფი, ზჩაარი (ყველა — ჰოლანდია), პალმეროვა-უესტი, ვოპიკოვა, ნეუმანოვა (ყველა — ჩეხოსლოვაკია), ებინჰაუსი, მასტჰოფი (ორივე—გფრ), ლიემი, კალიგისი (ორივე — ინდონეზია), პახტა (ავსტრია), ბაზი (იტალია), გურდელი (ბელგია), პრაიდი (ახალი ზელანდია), პინტო ბრავო (ჩილი), გუზმანი (ეკვადორი), ჰადსონ-ბეკი (როდეზია), სანდბერგი (შვეცია), ჯისკეიფრი (არგენტინა), ბერნერი (კანადა).

როგორც ცნობილია, სსრ კავშირიდან უიმბლდონის მთავარ ტურნირში მონაწილეობდნენ ო. მოროზოვა (მოსკოვი), მ. კროშინა (ალმა-ათა), ე. ბირიუკოვა (ბაქო), ა. მეტრეველი, თ. კაკულია (ორივე — თბილისი), ს. ლიხაჩოვი (ბაქო).

დაიწყო იუნიორთა ტურნირი. ბოგომოლოვმა (სსრ კავშირი) დაამარცხა გრანჟანი (ბელგია) — 7:9, 8:6, 6.2.

ქალთა ერთეულების მეოთხედფინალში გავიდნენ რ. კაზალსი, ბ.-ჯ. კინგი, კ. ევერტი, პ. ჰოგანი, კ. გიუნტერი, ი. გულაგონგი, ვ. უეიდი და ფ. დიური. ეს ჩოგბურთელები ასე დაწყვილდნენ: გულაგონგი — დიური, ევერტი — ჰოგანი, კაზალსი — გიუნტერი, უეიდი — კინგი.

დაძაბულად წარიმართა უეიდისა და კინგის ორთაბრძოლა. კინგმა მხოლოდ გადამწყვეტ პარტიაში შეძლო ინგლისელის წინააღმდეგობის დაძლევა — 6:1, 3:6, 6:3.

კაზალსმა ასევე სამ ხელში დაამარცხა თანამემამულე გიუნტერი — 3:6, 6:4, 6:0. 17 წლის ევერტმა სძლია ჰოგანს — 6:2, 4:6, 6:1, ხოლო გულაგონგმა მოუგო დიურს — 8:6, 7.5.

ვაჟთა მეოთხედფინალების შედეგები ასეთია (მეტრეველისა და სმითის შეხვედრის გარდა): ი. კოდეში (ჩეხოსლოვაკია) — ო. პარუნი (ახალი ზელანდია) 6:2, 6:3, 6:4; ი. ნესტასე — ჯ. კონორსი (აშშ) — 6:4, 6:4, 6:1; მ. ორანტესი — კ. დიბლი — 6:2, 6:0, 6:2.

ნახევარფინალებში ერთმანეთს შეხვდებიან სმითი — კოდეში და ორანტესი — ნესტასე.

გაიმართა ქალთა ორივე ნახევარფინალური მატჩი. გულაგონგმა მოუგო ევერტს (4:6, 6:3, 6:4), ხოლო კინგმა — კაზალსს (6:2, 6:4). საინტერესოა აღინიშნოს, რომ კინგს სამჯერ (1966, 1967 და 1968 წ.წ.) აქვს მოპოვებული უიმბლდონის ჩემპიონის წოდება, ხოლო გულაგონგმა ამ ტურნირში შარშან გაიმარჯვა.

ვაჟთა წყვილების ნახევარფინალურ შეხვედრაში ამერიკელებმა სმითმა და ვან დილენმა სძლიეს ჩილიელებს კორნეიოსა და ფილოლს — 9:7, 6:1, 6:4. ფინალში ისინი შეხვდებიან ჰიუიტსა და მაკმილანს, რომლებმაც ეს უფლება ავსტრალიელების კუპერისა და ფრეზიერის დამარცხებით (8:6, 4:6, 9:8, 6:2) მოიპოვეს.


რედაქტორი მ. ბაკაბაძე.




გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი 8, ლენინის ქ. № 14 (ინდექსი 380008), დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99 56-14, რედაქტორის მოადგილე — 93-97-51, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-58, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-50, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-57, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-53, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.